პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვებით	
პროგრამის სახელწოდება:	ვიდეოოპერატორი
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Video cameraman
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	021 - ხელოვნება
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	4 - პროფესიული მომზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	12
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	16
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	15
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	15
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	10

პროგრამის აღწერა

მომზადების პროგრამის გავლისას მსმენელები შეიძენენ ოპერატორად მუშაობის შესაფერის პრაქტიკულ უნარებს და თეორიულ ცოდნას, გაეცნობიან თანამედროვე ტელე-პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკას, შეისწავლიან სხვადასხვა სატელევიზიო ფორმებს და ჟანრებს, სატელევიზიო წარმოების ტექნოლოგიებს.

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ კურსს საოპერატორო ტექნიკის განვითარების ისტორიის, ვიდეომონტაჟის მოკლე კურსს, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას ოპტიკის, ვიდეოტექნიკის გამოყენების, ვიდეოგადაღების შესასწავლად. მსმენელები შეისწავლიან

შუქის, ფერის, კონტრასტის, კომპოზიციის, რაკურსის გამოყენებას, მუშობას კადრის სიღრმესთან, ფონებთან და ფაქტურებთან. ასევე შეისწავლიან სტუდიურ გადაღებას, პავილიონში მუშაობის ტექნიკას.
სასწავლო პროცესი გაგრძელდება 12 კვირის განმავლობაში, პროგრამის მოცულობაა 192 სთ. განხორციელება დაგეგმილია კვირაში 4 დღე 4 სააათიანი დატვირთვით. აღნიშნული პროგრამის სასწავლო პროცესი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი წარიმართება დაწესებულების ბაზაზე მოწყობილ AC გარემოში და ნატურაზე. თეორიული მეცადინეობებისათვის არის თვალსაჩინოებების გამოყენების საშუალება, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება სხვადასხვა სივრცეებსა და ნატურაზე.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს ვიდეოოპერატორისთვის საჭირო ცოდნა და პრაქტიკული უნარები; გააცნოს და პრაქტიკულ მაგალითებზე აჩვენოს საოპერატორო ხელოვნების ძირითადი პრინციპები. პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით გამოუმუშაოს ვიდეოოპერატორისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. მსმენელს შეასწავლოს ვიდეო გადაღების ხელოვნება, ვიდეო-მონტაჟი, კომპოზიციის, ფერისა და სინათლის გამოყენების ხერხები და კანონები. გააცნოს ციფრული და სხვადასხვა გადამღები ტექნიკით მუშაობის, სტუდიური და გარე გადაღებების, სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციის თავისებურებები. პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება პრაქტიკაში გამოიყენოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იმუშაოს დამოუკიდებლად როგორც ტელევიზიებში ისე ფრილანსერად.

დაშვების წინაპირობები

ასაკი :18

სხვა :პორტფოლიო

განათლება :საშუალო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

1. განათების პრინციპებისა და განათების ხელსაწყოების(შუქის, ფერის, კონტრასტის) გამოყენება ვიდეოსაოპერატორო საქმიანობაში

2. კომპოზიციის, რაკურსის, ხედის სწორად გამოყენება გადაღებისას

3. ფონებთან და ფაქტურებთან მუშაობა

4. ვიდეო მონტაჟის შესრულება (სიუჟეტის დამონტაჟება)

5. გადაღების ტექნიკისა და დამხმარე აქსესუარების სწორად გამოყენება.

6. გადაღება სტუდიაში/პავილიონში ერთი ან რამოდენიმე კამერით

7. გარე გადაღებების შესრულება

დასაქმების სფერო/სფეროები

10 - მომსახურებები (ფართო სფერო)

06 - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ფართო სფერო)